ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3866447

ნომერი: AR1582595

თარიღი : 07.03.2018

გაცემის თარიღი : 15.03.2018

გაცნობის თარიღი : 15.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , არსებული ავჭალა 1-ში , შესასვლელი გზის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ლელაშვილი პ/ნ 01027079234
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 19 ბ. 25

ორგანიზაცია:
- შპს "ახალმშენი 2016" კოდი: 406176034

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 7 მარტის №AR1582595 განცხადებით მომართეს გიორგი ლელაშვილმა და ჯემალ ლელაშვილმა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2015 წლის 29 მაისის №1918585 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, დასახლება მუხიანი, არსებული ავჭალა 1–ში, შესასვლელი გზის მიმდებარედ, მოქ. მამუკა ქუხილავას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.11.17.004.025) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებელობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 29 მაისიდან 2017 წლის 29 მაისის ჩათვლით. აღნიშნულის შემდგომ სამსახურის მიერ 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებით გაიცა არქიტექტურული პროექტის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ახალი მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 26 იანვრიდან 2019 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16055765, მომზადების თარიღი: 30/03/2016 15:45:38) ჯემალ ლელაშვილი წარმოადგენს შპს ,,მშენალიანსი"-ს (ID ნომერი: 405018145) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად, შპს "ახალმშენი 2016"-ის ნაცვლად, შპს ,,მშენალიანსი"-ს (ID ნომერი: 405018145) დაფიქსირებას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის (№01.11.17.004.025) მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია № 892018156471 - 23.02.2018; მომზადების თარიღი:01/03/2018 12:37:46) თანახმად წარმოადგენს შპს „მშენალიანსი“ (ID ნომერი: 405018145). შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „მშენალიანსი“ (ID ნომერი: 405018145).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №3788627 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.